# სძლიე სოფელსა, აღიღე ჯუარი და ცხონდი

„მაშინ იესუ აღმიიყვანა უდაბნოდ
სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან.
და იმარხა ორმეოცი დღე და
ორმეოცი ღამე და მერმე შეემშია.
მოუჴდა მას გამომცდელი
იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ
ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ,
რაჲთა, ქვანი ესე პურ იქმნნენ.
ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა:
წერილ არს, რამეთუ: არა პურითა
ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ
ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს
პირისაგან ღმრთისა."
მათე 4, 1-4






„და ყვნეს ყოველნივე... რაჲთა მიღონ ბეჭედი ჴელსა მათსა
მარჯუენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა. და რაჲთა არავის
ჴელ-ეწიფებოდეს სყიდვად, ანუ განსყიდვად, გარნა რომელთა აქუნდეს
ბეჭედი სახელისა მჴეცისა მის, ანუ რიცხჳ სახელისა მისისაჲ.
აქა არს სიბრძნე; რომელსა აქუს გონებაჲ, დაითუალენ რიცხჳ იგი
მჴეცისაჲ, რამეთუ რიცხჳ კაცისაჲ არს რიცხჳ მისი ექუსას სამეოც და ექუს."
გამოცხადებაჲ იოვანესი 13; 16-18

დღეს ბოროტი კეთილის ნიღბით მოდის - ქრისტესა და სამშობლოს სახელით, სახარებასა და წმიდა ხატებს ამოფარებული.
ივერიელნო, დღეს მთავარი ბრძოლა გვაქვს მოსაგები, ნაყოფისაგან და საქმეთაგან ვცნოთ ჭეშმარიტი. გავხდეთ წინაპართა მსგავსი ხატთათაყვანისმცემელი მართლმადიდებელნი და არა ანგარებითა და მზაკვრობით, არამედ წმიდა საქმითა და თავდადებით ვიყოთ ათთა ბევრთა მოწამეთა ღირსეული შთამომავალნი.

„ხოლო გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა აღემატოს
სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და
ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.“ (მათე 5;20)

# ლოცვა წმიდისა გრიგოლ ხანძთელისა, შიშისაგან ეშმაკისა დასაცავად ბოლო ჟამისათვის

ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენთანა ხარ განმზადებელი ჩუენთათჳს ადგილსა ამას კეთილსა, განსასვენებელსა ნებისა შენისასა, რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდნელისა მისთვის დღისა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო, რაჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყჳრისა ოხრაჲ შეაძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა, რამეთუ მიეცემოდიან ყოველნი ბრალეულნი გუემათა და საარებათა, ხოლო მართალთა აჴარებდეს ცხოვრებასა დაუსრულებელსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ყოველ ჩვენგანს დიდი დაკვირვება მართებს, რომ გამოიცნოს, სადაა ჭეშმარიტება და სად სიცრუე...

განა შეიძლება გულგრილი ვიყოთ მაშინ, როდესაც ხდება ქრისტეს სწავლების უგულებელყოფა, ავხორცობისა და ძალადობის პროპაგანდა და, საერთოდ, ხალხის სულიერი დეგრადირებისათვის ხელშეწყობა; ამის მოქმედნი, ალბათ, ვერ აცნობიერებენ, რომ თავსაც იღუპავენ და ათასობით ადამიანსაც დიდ ცოდვაში აგდებენ. კიდევ ერთხელ შევახსენებთ მათ მაცხოვრის მკაცრ გაფრთხილებას: „ვინც ღვთისგანაა, ღვთის სიტყვებს ისმენს, თქვენ იმიტომ არ ისმენთ, რომ ღვთისგან არა ხართ...“ (იოვანე 8.47)

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II*

ხატთათაყვანისმცემელთათვის

ხელოვნების მუზეუმის წინ (მდებარე თავისუფლების მოედანზე) დაბრძანებულია ანჩისხატის სალიტანიო კანონიკური ასლი და მამა გაბრიელის სამოსი, სადაც ულოცველად მყოფი სიწმიდეების წინაშე ბოლო წლებია მიმდინარეობს სადღეღამისო ლოცვები, ხოლო ყოველ ხუთშაბათს და კვირას საღამოს 7 საათზე ჩატარდება ანჩისხატისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისები და საგალობლები – ჩვენი ერის გადარჩენისა და კეთილდღეობისათვის.

ათნო ბევრნო წმიდა ხატთათვის თავდადებულნო მარტვილნო, ევედრენით ღმერთსა ჩვენთვის.